

სდასუ

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი



მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) იურიდიული სამსახური (შემდგომში - „სამსახური“) წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.
2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით და წინამდებარე დებულებით.
3. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ და უნივერსიტეტის რექტორის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქცია, ამოცანა და უფლებამოსილება

1. სამსახურის ფუნქცია:

- ა) უნივერსიტეტის შინაგანაწესის, სასწავლო პროცესის რეგულირების წესის, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებების (მათი საქმიანობის მარეგულირებელი სხვა აქტების) შემუშავება/ შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- გ) უნივერსიტეტში და უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში მოსამზადებელი ხელშეკრულებების, ადმინისტრაციული აქტების პროექტების შემუშავება/შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- დ) უნივერსიტეტში და უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში მომზადებული ხელშეკრულებების, ადმინისტრაციული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ე) უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- ვ) უნივერსიტეტის წარმომადგენლობა და მისი ინტერესების დაცვა სახელმწიფო, კერძო დაწესებულებებსა და სასამართლოში;
- ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტისა და სხვა ორგანოთა, ორგანიზაციათა/ დაწესებულებათა მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტებზე დასკვნების მომზადება;
- თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში შემოსული განცხადებების განხილვა/განხილვაში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი პასუხების მომზადება/მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
- ი) უნივერსიტეტის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- კ) სხვა ფუნქციების და დავალებების შესრულება თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

2. სამსახურის ამოცანა:

ა) ქვეყნის განათლების სფეროში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, უნივერსიტეტის დოკუმენტაციის ქვეყნის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა;

ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

3. დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებისას სამსახური უფლებამოსილია:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოამზადოს ადმინისტრაციული აქტების პროექტები, შეიმუშაოს წინადადებები ადმინისტრაციულ აქტებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოამზადოს დასკვნები უნივერსიტეტისა და სხვა ორგანოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ შემუშავებულ და წარმოდგენილ სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით;

გ) უნივერსიტეტის რექტორის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების საფუძველზე წარმოადგინოს უნივერსიტეტი სახელმწიფო დაწესებულებებთან, ყველა ინსტანციის სასამართლოსა და მესამე პირებთან ურთიერთობაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს იურისტი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

2. უნივერსიტეტის საჭიროებიდან და საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მოწვეულ იქნას შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

მუხლი 4. იურისტის ფუნქციები

1. იურისტი ანგარიშვალდებულია რექტორის წინაშე და ასრულებს მის მიერ კანონისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს.

2. იურისტი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს სამსახურს დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას და პასუხისმგებელია სამსახურზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებაზე;

გ) ახორციელებს უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტებისთვის სამართლებრივი ფორმის მიცემას და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტში და უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში შემუშავებული ხელშეკრულებების და ადმინისტრაციული აქტების ვიზირებას;

ე) წარადგენს ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, ან ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის დავალებით;

ვ) ორგანიზებას უწევს წინამდებარე დებულებით სამსახურისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებასა და გადაწყვეტასთან დაკავშირებით;

ზ) ახდენს უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის უფასო სამართლებრივი კონსულტაციების გაწევას საგანმანათლებლო და შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

თ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 5. სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

სამსახურის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 6. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სამსახურის ხელმძღვანელის მიერ მომზადებული ცვლილება-დამატებების პროექტის წარდგენითა და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცების გზით.

